ა ა ი პ
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

15.06.2012 № 72

პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამებზე ჩასარიცხად შესარჩევი
კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №9/ნ ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა საბუთების მისაღებად, კონტინგენტის შესარჩევად, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის და ჩარიცხვაზე გადაწყვეტილების მისაღებად შეიქმნას შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   1. იური ლომიძე – სწავლების დეპარტამენტის უფროსი, თავმჯდომარე;
   2. გიორგი აბრამიშვილი – სწავლების დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსი, თავმჯდომარის მოადგილე;
   3. ლალი ღოღელიანი – პასუხისმგებელი მდივანი;
   4. ნინო ჩორხაული – პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე;
   5. ხათუნა ლეჟავა – პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე;
   6. გიორგი ძიძიგური – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
   7. დენიტა ბიბილეიშვილი – სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
   8. ზურაბ გედენიძე – სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი;
   9. გია არაბიძე – ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი;
   10. ანზორ აბშილავა – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;
   11. ნუგზარ წერეთელი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი;
   12. ოთარ გელაშვილი – სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი;
   13. გოჩა მიქიაშვილი – არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი;
   14. რუსუდან ქუთათელაძე – ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი;
   15. ზურაბ წვერაიძე – ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტისდეკანი;

16. რევაზ ცნობილაძე – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი;
17. ბორის გითოლენდია – სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

2. კომისიამ საბუთების მიღების, კონტინგენტის შერჩევისა და ჩარიცხვაზე გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურით (სტუ-ს 04.04.11N26 ბრძანება);
3. პროფესიული განათლების პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტით;
4. ჩარიცხული სტუდენტების მონაცემები მე-3 პუნქტში მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრტაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 7 დღის ვადაში შეტანილი იქნას სტუ-ს შესაბამისი დეკანატის მართვის ავტომატიზებულ სისტემაში;
5. ჩარიცხვიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს პროფესიული განათლების საინფორმაციო ცენტრს შესაბამის პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ;
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს ლევან კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ვებ-გვერდზე;
8. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი *გ.ძიძიგური*

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
გ. მაისურაძე